



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### ბერიძე თენგიზ გიორგის ძე

ბერიძე თენგიზ გიორგის ძე (დ. 26. X. 1939, თბილისი), ბიოქიმიკოსი. საქართვე. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1993; წ.-კორ. 1988).

დაამთავრა თსუ-ის ქიმ. ფაკ-ტი (1962). საქართვე. მეცნ. აკად. ს. ღურმიშიძის სახ. მცენარეთა ბიოქიმ. ინ-ტის ნუკლეინის მჟავების ლაბორატორიის გამგე (1969–2012). თსუ-ის მცენარეთა ფიზიოლ. კათედრის პროფესორი (1969–1999, დოქტორი 1980-იდან). საქართვე. მეცნ. აკად. ბიოლ. განყ-ბის აკადემიკოს-მდივნის მოადგილე.

1994 აირჩიეს საქართვე. სამედ.-ბიოლ. მეცნ. აკად. წევრად. საქართველოს აგრარული უნ-ტის მოლექულური გენეტიკის ინ-ტის დირექტორი (2012). ბ-ის მეცნ. კვლევის საგანია უმაღლეს მცენარეთა გენომის ორგანიზაცია. უმაღლეს მცენარეთა უჯრედებში მან აღმოაჩინა დნმ-ის სატელიტური კომპონენტები, დაადგინა უმაღლეს მცენარეთა სხვადასხვა სახეობის სატელიტური დნმ-ის ქიმ. სტრუქტურა, ჩაატარა რიგი სამუშაოები ქლოროპლასტური დნმ-ის სტრუქტურული ორგანიზაციის შესწავლის დარგში. აღმოაჩინა დნმ-ის ახ., უჩვეულო ფორმა, ე. წ. დაგრეხილი ორმაგი სპირალი, რ-იც დამახასიათებელია დნმ-ის მრავალჯერ განმეორებადი თანამიმდევრობისათვის. ამ ფორმის არსებობა გასაგებს ხდის ჰეტეროქრომატინის კომპაქტურ აღნაგობას და საშუალებას იძლევა ახლებურად იქნას განხილული ქრომატინის ორგანიზაცია ევკარიოტულ ორგანიზმებში. ბ. არის „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე. ს. ღურმიშიძის სახ. პრემიის მფლობელი (2011).

ღირსების ორდენის კავალერი (1999).

*თბბ.*: Сателитные ДНК. Монография, М., 1982 (გერმ. ენაზე - В., 1986).

---